ბირჟის ორგანიზაციული მოდელი

ლევან ჯიქიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბირჟა პირდაპირი გაგებით ბაზარს ნიშნავს. თანამედროვე პირობებში კი ბირჟა წარმოადგენს თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების ყველაზე განვითარებულ ფორმას, სადაც ხორციელდება სხვადასხვგვარი სავაჭრო გარიგებები. თანამედროვე ბირჟებზე ვაჭრობა ელექტრონული სახით სპეციალიზებული პროგრამების გამოყენებით მიმდინარეობს.სტატიაში განხილულია უნივერსალური ბირჟის მახასიათბლების და ბირჟის ორგანიზაციული სტრუქტურის აგების საკითხების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ბირჟა. უნივერსალური ბირჟის მახასიათბლები. ორგანიზაციული სტრუქტურა.

1. შესავალი

თანამედროვე ეკონომიკა, რომელიც ხასიათდება მაღალი დინამიკურობით, პროცესების გლობალიზაციით, მომხმარებელზე ორიენტაციითა და მზარდი კონკურენციით, საჭიროებს ოპტიმალური მართვისთვის ადექვატური მეთოდების და საწარმო საშუალებების გამოყენებას. ამ მეთოდების და საშუალებების ეფექტური გამოყენებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია საწარმოს პოტენციალისა და შესაძლებლობების ორგანიზაცია და ცოდნის დამუშავება, რომელიც მის ინტელექტუალურ კაპიტალს წარმოადგენს. დღეისათვის საწარმოს ცოდნის მართვის კონცეფციაში იგულისხმება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, ნებისმიერ სიტუაციაში, სუბიექტების მიერ (ადამიანის, სამუშაოს, რთული სისტემების მართვის) გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ინფორმაციული პროცესების საფუძველზე.

თანამედროვე ორგანიზაციულ სისტემებში მართვის ცნება დაკავშირებულია კომპიუტერის საშუალებით გადაწყვეტილების მიღებასთან.საზოგადოებისათვის მრავალი პრობლემის ანალიზი ხორციელდება რთული სისტემების საშუალებით.ბიზნესის თანამედროვე ტექნოლოგიები ხასიათდება მაღალი დინამიკურობით, რაც გამოწვეულია ბაზრის მოთხოვნილების მუდმივი ცვალებადობით, საქონლის წარმოების და მომსახურების ორიენტაციით, შემკვეთების და კლიენტების ინდივიდუალურ მოთხოვნით, ტექნიკური შესაძლებლობების უწყვეტი სრულყოფით და ძლიერი კონკურენციით. ასეთ შემთხვევებში იქმნება ინფორმაციული სისტემების დამუშავების აუცილებლობა, რომლებმაც, ერთი მხრივ, ოპერატიულად უნდა დაუჭიროს მხარი არსებული ბიზნეს-პროცესების ფუნქციონირებას, მეორე მხრივ, კი უნდა შეიმუშაოს პროგნოზები და რეკომენდაციები ბიზნეს-პროცესების ეფექტური ორგანიზაციისთვის.

2. ძირითადი ნაწილი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში - ბაზარის ინფრასტრუქტურული მომსახურეების შექმნა მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებაა. ვაჭრობაში დიდ როლს ასრულებს სპეციალიზებული სასაქონლო ბირჟები, რომლებიც ორგანიზაციულ სისტემებსწარმოადგენს. სპეციალიზებული სასაქონლო ბირჟა არის ბაზარი, სადაც მსხვილი საბითუმო ვაჭრობა ხორციელდება ერთგვაროვანი საქონლის ნიმუშების, სტანდარტების ან ხარისხობრივი ნიშნების მიხედვით. ასეთ სასაქონლო ბირჟაზე გარიგება ხდება უპირატესად ერთგვაროვანი საქონლის დიდ პარტიებად (მატყლი, ბამბა, შაქარი, ლითონი) და სხვა. ამ საქონლის პარტიებად გამოყოფა ხდება სტანდარტებისა და ნიმუშების მიხედვით, მათი შეფასების დიფერენციაციის მიზნით. ბირჟაზე მყიდველი და გამყიდველი თანხმდება შესყიდვის ფასზე, რაოდენობაზე და გამყიდველის ვალდებულებაზე. საქონლის ცალკეული პარტიების დადგენილ დროში დათქმულ ადგილზე გატანის შესახებ.

უნივერსალური ბირჟის არსის განსაზღვრისას შეიძლება შემდეგი მახასიათბლები გამოვყოთ:

1. უნივერსალური ბირჟა წარმოიქმნა სხვადასხვა სპეციალიზებული ბირჟების ურთიერთშერწყმის ბაზარზე, აქედან გამომდინარე მისი ბაზარი ერთმანეთისაგან განსხვავებული სპეციალიზებული ბაზრების გაერთიანების რთული სისტემაა; 2.უნივერსალურ ბაზარზე მიიღწევა უფრო დიდი ლიკვიდირება, ვიდრე ნებისმიერ სხვადასხვა სპეციალიზებულ ბაზარზე; 3. უნივესალურ ბირჟაზე მოქმედ სპეციალიზებულ ბაზარზე კვოტირება იწარმოება არა მარტო საქონლის ამა თუ იმ დასახელებაზე არსებული მოთხოვნა - მიწოდების თანაფარდობით, არამედ ურთიერთ შეცვლადი საქონლის ტიპებზე ფასწარმოქმნის თავისებურების გათვალისწინებით. ბირჟის ორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენლობაში შედის:ეკონომიკური ანალიზის ცენტრი; ხელშეკრულების და სამართლის დეპარტამენტი; სატრანსპორტო, სატარიფო განყოფილება; საბირჟო ვაჭრობის გაუმჯობესების განყოფილება.ინფორმაციული ცენტრი; ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება; საბროკერო განყოფილება. საბირჟო ვაჭრობის და ორგარგანიზაციული განყოფილება. მათი ფუნქციონალობა შემდეგია: **ეკონომიკური ანალიზის ცენტრი:** არსებული ბაზარზე მდგომარეობის მონიტორინგი; პროდუქციის

კონიუნქტურული ბაზრის კონტროლი; ტექნიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე; ტაქტიკური პროგნოზი; ფასიანი კონსულტაციები ეკონომიკურ საკითხებზე. **ხელშეკრულების და სამართლის დეპარტამენტი:** პატნიორებს შორის გარიგება. ოპერაციების სამართლებლივი გაფორმება; კონკურსის მონაწილეების მართლზომიერი ქმედებების კონტროლი; საარბიტრაჟო კომისიასთვის საქმეების მომზადება.**სატრანსპორტო სატარიფო განყოფილება:** ბირჟაზე შეძენილი პროდუქციის ორგანიზება და უზრუნველყოფა; მყიდველსა და გამყიდველს შორის კონსულტაციები ტრანსპორტირების საკითხებზე; წინადადებების მომზადება მყიდველამდე ტვირთვის ეფექტური გზებით მიწოდებაზე; საქონლის მიწოდებაზე ანგარიშის გაფორმება.**ინფორმაციული ცენტრი:** ყველა ინფორმაციის მიღება, შემნახვა და გადამამუშავება; წევრებისათვის და დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდება.**საბირჟო ვაჭრობის და ორგარგანიზაციული განყოფილება:** საბირჟო დარბაზის საჭიროებისამებრ მოწყობა; ბირჟის უზრუნველყოფა კომერციული ინფორმაცით; ბირჟის წევრების აუცილებელი მასალებით და პირობებით უზრუნველყოფა.**ადმინისტრაციულ სამეურნეო განყოფილება:** ტრადიციული სამეურნეო ამოცანების შესრულება; საბუღალტრო საქმიანობასთან და კადრებთან შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრა. **საბროკერო განყოფილება:** საბირჟო ვაჭრობა საბირჟო დარბაზში; ბროკერების წარდგენა ბირჟის წევრევისადმი, რათა განახორციელონ ვაჭრობა; აღსრულების გაფორმება; ორივე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა კონტროლი - პროდუქციის ექსპერტიზა.

თანამედროვე ბირჟების უპირატესობანია: გაუმჯობესებული დაგეგმვა; სარგებელი; საიმედოობა; კონფიდენციალობა; სიჩქარე; მოქნილობა; ლიკვიდურობა; არბიტრაჟის შესაძლებლობა.

საფონდო ბირჟის ირგანიზაციის საფუძველია: საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის ეფექტური მექანიზმის შექმნა. ინვესტორების უფლებების და ინტერესების დაცვა. მსოფლიო საფინანსო ბაზარზე ინტეგრაცია. ფართო სპექტრის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ეკონომიკისა და სხვადასხვა ჯგუფების ინვესტორების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საქართველოს ბაზარზე არარეზიდენტული ფასიანი ქაღალდების დაშვების ლიბერალიზაცია. სამთავრობო ორგანოების და თვითმართველობის ორგანოების მოქმედების კოორდინაცია.

საფონდო ბირჟის აგების ორგანიზაციული პრინციპები: ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურის აგება. ეფექრუტობა, დინამიურობა და ოპერატიულობა. პროპორციულობა აგებაში. კადრების რაციონალური შერჩევა და განთავსება. პასუხისმგებლობა დავალების შესრულებაში. კონტროლი დავალების შესრულებაში. მატერიალური დაინტერესება შრომაში.საფონდო ბირჟაზე მოქმედი ფაქტორები:ეკონომიკაში კრიზისული გამოვლინებების გადალახვა;სამრეწველო წარმოების რესტრუქტურიზაცია და განვითარება;ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება;სამეწარმეო საქმიანობაში გადაუხდელობის აღმოფხვრა;კომერციული სტრუქტუტრების მიერ ფასიანი ქაღალდების ემისია;ფასიანი ქაღალდების წვდომა საერთაშორისო ბაზარზე;საბანკო სისტემების რესტრუქტურიზაცია;ემიტენტების და ინვესტორების ინტერესების დაცვა;ეკონომიკის რეალური სექტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება;მასშტაბური პრივატიზაციის განხორციელება;ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;

ლიტერატურა:

1. Туровцев О.Г., Теория организации, Москва. изд. РИОР. 2006
2. Баранников А.Ф. Баранников А.Ф., Акимов Т.А. Теория организации, Москва. изд. РИОР. 2005.

ORGANIZATIONAL MODELOFSTOCKMARKET

DjikidzeLevan
GeorgianTechnicalUniversity

Summary

Stockinthedirectunderstanding means a market. Nowadays stock represents the most developed form of functioning of a free market in which various bargains are carried out. In modern stocks sales are mode by means of using specialized programs in electronic kind. In the article the issues of characteristics of universal stick and organizational structure building are discussed.

ОРГАНИЗАЦИОННАЯ МОДЕЛЬ БИРЖИ

Джикидзе Л.
Грузинский Технический Университет

Резюме

Биржа, в прямом смысле, означает рынок, а в современных условиях она представляет собой самую развитую форму функционирования свободного рынка, где производятся разные торговые сделки. На современных биржах электронная торговля производится с использованием специализированных сервисных программ. В предложенной работе рассматриваются вопросы анализа характеристик и формализации функциональности универсальной биржи.